

მ წ ე მ ს ი

ო შ ი ც ი ა ლ უ რ ი ვ ა ნ ყ ო შ ი ლ ე ბ ა .

უმაღლესი მანიფესტი.

წყალობითა ღმერთსა

ჩვენ, ნიკოლოზ მეორე,

იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა,

მეფე შალჩხეთისა, დიდი მთავარი ფილიანდიისა,

და სხვა და სხვა და სხვა.

ვუცხადებთ უგულა ჩვენთა ერთგულ ქვეშევრდომთა:

ატრთხევითა ღმერთსა და საკრებულო ეკლესიაში საზამთრო სასახლისა, სასულიერო და საერო გვამთა თანადასწრებითა, აღსრულდა ჩვენი ქორწინება საყვარელისა ჩვენისა სასძლოჲს, კეთილმორწმუნისა დიდისა მთაერინა საალექსანდრა დიდის ჰესენის ჰერცოგის თეოდორეს ასულისათანა.

მწუხარების შამს, რომლითაც აღესილ არიან გულნი ჩვენი და ყოველი ერთგული რუსეთის შვილისა, დღეს ესე იქმნეს ბრწყინვალე მაუწყებლად ერისა სასოებათა, რომელ ღმერთი განაგრძობს თვისსა წყალობასა ჩვენზედა ამ ახლად დაწყებულის მეფობის მიმდინარეობასა შინა.

ვზრუნავთ-რა მისისა მომავალისათვის, ჩვენ საკეთილოდ შევრაცხეთ არ დაგვეყოფინა და შეგვესრულებინა ჩვენი გულითადი სურვილი, საღმრთო და დაურღვეველი ჩვენდამო ანდერძი მშობლისა ჩვენისა და მთელი ერის სასიხარულო ლოდინი, რათამცა დამტკიცებულიყო ნაკურთხი მშობელთაგან ჩვენთა ქორწინებითი კავშირი ჩვენი წმიდის ეკლესიის საიდუმლოთი.

ყოველნი ერთგულნი ჩვენი ქვეშევრდომნი შევევრებიან ჩვენთანავე, რათამცა უფალმან გარდამოსცეს კურთხევა კავშირსა ჩვენსა და სასიკეთოდ რუსეთისა მოგვანიჭოს ჩვენ იგივე აღუშფოთველი ბედნირება, რომლითაცა კურთხეულ იყო სახლსა შინა თვისსა დაუეწყაჳი ჩვენი მშობელი საქცნებულად და სანუგეშოდ ყოვლისა ერისა.

ზოდებულ იქმნა ს.-პეტერბურღში, ნოემბრის 14 დღესა, ქრისტეს შობიდან ათას რეას ოთხმოც და მეთოთხმეტესა წელსა, ხოლო მეფობასა ჩვენსა პირველსა.

ნამდვილსა ზედა საკუთარის ხელით მისის იმპერატორებითის უდიდებულესობისა აწერია:

«ნიკოლოზ».

უმაღლესი უქაზები

უწმიდესი უმართებელესი სინოდის სახელზედ.

I

ვბრძანებთ, რათა უსაყვარლესის მეუღლისა ჩვენი იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის დაბადება იღლესასწაულონ მაისის 25 დღესა, ხოლო სახელწოდება აპრილის 23 დღესა.

II

ვბრძანებთ, რათა დაბადება მისი იმპერატორებითი უმაღლესობის ხელმწიფე მემკვიდრე ცესარევიჩისა და დიდისა მთაერისა გიორგი ალექსანდრეს ძის დაბადება იღლესასწაულონ აპრილის 27 დღესა, ხოლო სახელწოდება ნოემბრის 26 დღესა.

ნამდვილზე საკუთარის მისის იმპერატორებითის უდადებულესობის ხელით აწერია:

«ნიკოლოზ».

ყმაღლის მანიფესტი.

(გაგრძელება *)

7) ამა წლის შემოდგომის ვადებიდანვე შემცირდეს თანხის სამატო სარკებო, რომელსაც უხდა მსესხებელნი საგლეხო საადგილ-მამულა ბანკის, ამა ბანკიდან აღებულს სესხში, წლაურად, ერთის მანეთით უოკელ ას მანეთზედ გაღას პირველ-დაწეებით ჯამიდგან.

8) რათა შემდეგ მიეტეს საგლეხო საადგილ-მამულა ბანკს იმ წესების საფუძველით, რომელიც ამ საგნის შესახებ უნდა იყოს გამოცემული, გლეხთა წოდების უმრავლესობას დახმარება აღმოუჩინოს მიწების შესაქმნად, უოკელ წლაურ, 1895 წლადგან დაწეული, ამა ბანკის თანხას მიემატოს გაკეთდეს შემოსულ მათდა მოხმობილ მიწის გარდასახვად („ხადელის“) ფულის რაოდენიმე ნაწილი ამ ანგარიშით: ერთი პროცენტი იმ ფულიდან, რომელიც შემოვა ამ გარდასახვისად, თუ ეს ფული გაწერილის ცხრა მეათედს ან აღმატებნ; მას გარდა ერთი მესამედა გაწერილი ფულის დახარხენ მეათე ნაწილიდან, ხოლო თუ შემოსული ფული აღმატება გაწერილს, ამ აღმატებულას ნახევარიც. ეს ფული იმ დრომდე მიემატოს თანხას ბანკისას, ვიდრე ეს თანხა ორმოც-და-ათ მაღიონ მანეთამდე არ შესრულდება.

9) ეპატოოს საზინის მიწების, აჯარით გასაქმრებულ მიწებისა და სათევზო სამრეწველოებისა, ხოლო გასპიის ზღვის სანაპიროების სამრეწველო ქარხნების გასამართ მიწების (1893 წლის გამოცემულის სასოფ. მეურ. წესების მე-494 მუხლი (მე-2 სსრლია) დამატ.) მოაჯარადრებს სააჯარადრო ფული, რომელიც უნდა შემოეტანათ 1893 წ. პირველ იანვრამდე, მაგრამ არ გარდასხდენათ, თითოეულს 600 მანეთზედ არა უმეტესი, ხოლო თუ სხენებული მამული, აჯარით გასაქმრებულ მიწა, სამრეწველო ანუ ნაწილა მიწისა გლეხთა და მკვიდრ მცხოვრებელთა საზოგადოებათა აქვთ აჯარით აღებული, თითოეულს ას-ასი მან. ეპატოოს.

10) ეპატოოს აქამდე გამოურთმეველი ზარალი, ვალად დაკისრებული ფული და ჯარბი, თუ იმითობა

*) იხ. «მწეხსი» № 22, 1894 წ.

აქვთ შეწერილი, რომ საზინის მამულებისა და სააჯარადრო მიწების ხელშეკრულების პირობანი არ შეასრულეს და დაარღვიეს, ან მომეტებული მიწა მოხსნეს, ჯეროვანი პური და მცენარე არ დათესეს, მიწა არ გააზოხიერეს, ხეები არ დარგეს, ამ მიწებზედ ამოსულა ტეე გასხეხეს, შენობანი დაანგრეს, სამეურნეო ანგარიში წესიერად არ აწარმოეს, მამულებისა და მიწების მოძრავი ქონება არ საზარეს საზინას, ხელშეკრულებით სავალდებულო რაოდენობა მარადისა არ შეიმუშავეს, — თითოეულს სამასს მანეთზედ არა უმეტესი, ხოლო ხელახლად გაბეგრის შემდეგ სააჯარადრო ფული შემცირებულ, — თითოეულის სამას მანეთზედ არა უმეტესი, ხოლო თუ მამული და მიწა გლეხთა და მკვიდრ მცხოვრებელთა საზოგადოებათა აქვთ აჯარით აღებული — ორმოცდა ათი მან. თითო მეურნეს; ასევე ნუ გარდასხდებათ ზარალი თუ ამავე მამულებისა და მიწების მამული და მიწა გლეხთა და მკვიდრ მცხოვრებელთა საზოგადოებათა აქვთ აჯარით აღებული, თითო მეურნეს ორმოცდა-ათი მან. ასევე ნურაფერი ჯარბი ნუ შეაქვრებათ სხვა ამ გარ ხელშეკრულებისა დღევანდლამდე დარღვევისათვის.

11) ნუ გამოერთმევთ ის ზარალი, რომელიც იმის გამოა მომხდარი, რომ მოაჯარადრებს დღევანდლამდე ხელ-შეკრულების ვადა დაურღვივებთ და თავი დაუნებებთ საზინისა, კაბინეთისა, ხელმწიფისა სასახლისა და საუფლისწულო მამულებისა და სააჯარადრო მიწებისათვის და თუ ამ მამულებისა და მიწების მოაჯარადრებმა ხელ შეკრულების დადებამდე უარი განაცხადეს აჯარისაგან, ზარალის იმ ნაწილის გარდა, რომლის შეესებაც მოაჯარადრეთა მიერ წინდად შეტანილ ფულიდან შეიძლება.

12) ეპატოოს საზინისა, კაბინეთისა, ხელმწიფისა, სასახლისა და საუფლისწულო მამულებისა და სააჯარადრო მიწების უოფილ და აწინდელ მოაჯარადრეთ აქამდე გარდაუსრული ჯარბი, რეგორც სააჯარადრო შესატან ფულისა, ისე სამარული წყაროებისა და ფისისა და ეუბრის ქარხნების აჯარის გარდასახვისად დროზედ შეუტანლობისათვის.

II. არა ვსტოვებთ რა წყალობისა ჩვენისა გარეშე იმათ, რომელთაც, ქონების მხრავ შემდეგელობისა ან უბედურ გარემოებათა გამო, ვერ შეიძლეს და ვერ შესრულეს მთავრობისაგან დაკისრებული ვალდებულებანი, ვბრძნებთ:

1) ეპატოოს ჯარბიანი დღევანდლამდე იმ სახელ-

მწიფე გაწერილის ხარჯისა, ნასუიღობის და უფასოდ გადასულ მამულის გარდასახადის დროზედ შეუტანლობისა.

2) ეპატოოს მიწერილი, ანუ გარდასახდელი, ხოლო ჟერ ისევე გარდასახდელი ჟარიმა იმისა, რაც დღევანდლამდე დარღვეული: ა) დებულება ვაჭრობისა და სხვა მრეწველობათა უფლებათაის გარდასახადისა, ბ) წესები ორთქლის ქაბების გარდასახადისა (უმაღლესად 1894 წლის 14 მარტს დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს აზრი). და გ) მრეწველობის წესდების მე-153 — 156 მუს. (კანონთა კრების მე-XI ტ., მე-II ნაწ., გამოც. 1893 წ.), თუ ეს ჟარიმა უოკელ დარღვევისათვის 300 მანეთს არ აღემატება, ხოლო თუ აღემატება, იმათ მხოლოდ 300 მან. ეპატოოს.

3) ამოიწეროს ანგარიშიდან საპატოებლად ყველა გარდასახდელი და შემოუტანელი გარდასახადი 1894 წლის პირველ იანვრამდე ვაჭრობისა და მრეწველობის უფლებისა (კანონთა კრება მე-V ტ., პირდაპირ სახ. წესდ. მე-213 მუს., გამოც. 1893 წ.), ომეორე-და-ათ მანეთზედ არა უმეტესა, ხოლო თუ ამ ჟამს აღემატება, თითოეულს მხოლოდ ამდენი ეპატოოს. ეს შედგათა არ მიერემთ იმათ, რომელთაც შესავსებულ ხუთ-პროცენტთან გარდასახადის შემოუტანელი ფული ამკვთ ვალად.

4) ეპატოოს და არ გარდასახდელ შემოწილი ანუ დაკისრებული, მაგრამ ჟერ ისევე შეუტანელი დღევანდლამდე საზინაში ის ჟარიმა გერბის გარდასახადის წესდების დარღვევისა, რომლის გარდასახდენება დღევანდლია დღევანდლამდე ამ ხუთისა და მეტის წლიდან.

5) ეპატოოს სრულიად დღევანდლამდე შემოუტანელი გარდასახადი ჟარიმიოთუთ.

ა) იმ გადასახლებულებს, რომელნიც დაბინადრებულნი არიან ხაზინის მიწებზედ მინისტრთა კომიტეტის 1881 წ. 10 ივნისსა და 1884 წ. 17 თებერვალს უმაღლესად დამტკიცებულ დებულებისა და აგრეთვე 1889 წ. 13 ივლისის წესების საფუძვლით, — ამა მიწების საიჯაროდრო ფულისა (ევროპის რუსეთში) ანუ ბეგარისა, (ცემბარში);

ბ) გლეხებსა და მკვიდრ მცხოვრებლებს, რომელნიც გარდასახლებულნი, სოფლის მკვიდრთა და მკვიდრთ მცხოვრებელთა თავისის ნებით ხაზინის მიწებზედ გარდასახლების წესების თანხმად (საზოგადო დებ. მე-33 მუს. მე-2 სწოლიოს დამატ. გაცემ. 1891 წ., მე 19—24 მუს. და აგრეთვე სახელმწიფო საბჭოს

1892 წ. 20 აპრილს უმაღლესად დამტ. აზრი 1892 წ. კანონ დებ. კრებ. მე II ნაწ., მე-54 № რი, მე-543 მუს.), შემდეგს გუბერნიებსა და ოლქებში: სამარისა, ორენბურგისა, უფისა, ტომოლსკისა, ტომსკისა, ირკუტსკისა, ენისკისა, უჩალისა, ტურგაისა, აკმოლინისა, სემიპალატინსკისა და სემირეჩენსკისაში, — იმ სახაზინო გარდასახადისა, რომელიც წინანდელ საზოგადოებებში უოფნის დროს უნდა გარდაესდათ.

6) ეპატოოს ყველა 1894 წ. პირველ იანვრამდე გარდასახდელი შემოსატანი ნადირთა ტუაის გარდასახადისა და ბეგარისა, რომელთაც ისდანი ქუნად მავალი, მოტანტალე და ბინადრნი უცხო ტომის ხალხნი ჩვენის კაზინეთის სასარგებლოდ.

7) ეპატოოს ამა დღემდე უოკელ-გარი გარდასახდენებელი და ჟარიმა სახაზინო გლეხება და ხაზინის სამთო ქარხნების მუშებად უოფილთ და აგრეთვე იმ გლეხებს, რომელნიც დაბინადრებულნი არიან საზინის მიწებზედ, როგორც პირდადალ მათგან, ისე საზოგადოებათა და სოფელთაგან გამოსარჩიევი ფული ხაზინის იმ მიწელებითა და საიჯაროდრო მიწებით სასარგებლობისათვის, რომელიც შემდეგ მათვე „ხალად“ მიერათ.

8) ანუ გამეორებულთ ვალი ან ომეორე და-ათ მანეთზედ არა უმეტესა, იმ სხვა-და-სხვა წოდების ხელახლებსა და მუშებს, რომელთაც ეს ვალი დასდებით ხაზინისა და კაზინეთის სამთო ქარხნებში მუშაობის დროს, აგრეთვე ამ ქარხნებისათვის მისაღისა და თადარიგის მომზადებისაქვეში; ხოლო თუ ამ ვალის 150 მანეთზედ მეტი აქვთ შეუტანელი, უოკელ ვალისა 150 მან. გამოეჩინებოთ.

9) ეპატოოს შემოუტანელი ფული საადგილ-მამულე ბეგარისა, რომელიც დღევანდლამდე დასდებით საწესდებო სიგელთა (УСТАВНАЯ ГРАМОТА) ალტაისა და ნეჩინსკის სამთო ოლქების ქარხნების მომუშაებებ და მყოფს გლეხებს და საზოგადოდ მიწებით სასარგებლობისათვის საწესდებო სიგელთა გარეშე.

10) გარდასახდელ ნუხადგან გამოიჩინებენ ჭ შესატანი ფულიც ეპატოოს ალტაის სამთო ოლქის იმ ხელახლებსა და დღიურად მომუშაებებს, რომელნიც სასოფლო საზოგადოებაში არიან გადაჩინებულნი და მიწები-ვი არ მისცემიან „ხალად“.

11) ეპატოოს ალტაისა და ნეჩინსკის სამთო ოლქების მომუშაებებს დღევანდლამდე მათზედ დარჩენილი ვალი იმ სესხისა, რომელიც მიერემული აქვთ სხვა-და-

სსკა შექმნილია გომ და ჯამაგირში ამ თავით ფუ-
ლად და სურსათად.

12) ეპატოთ ვეზად ადებულა ვალი ბაიკალის
იქითა მხრის ჯარის მიწად-მომქმედ უაზარებსა და გლე-
ხებს, რომელიც დასდებიათ წინად, ნერხინსკის სამთო
რეჟთან მთავარ-საკომისიონერს დაარსებამდე — 1869
წლამდე.

13) ეპატოთ სარგებელი, რომელიც დღევანდლამდე
შეკრებილია ალტაის და ნერხინსკის სამთო რეჟებში
ვალად გარემულ ტუის სფასურისა, და ანგარიშიდგან
გამოიწინეს.

14) ეპატოთ და ანგარიშიდგან გამოიწინეს ის
გარდასხედელი ვალი, რომელიც დღევანდლამდე დას-
დებიათ გამოანგარიშების შემდეგ აღმოსავლეთ რამბინის
მხრის მხიდველ მცხოვრებლებს.

15) ეპატოთ სათვეზო და ზღვის დოლის
წარმოება წესდების დამკვეთველთ კასპიის ზღვისა და
ამიერ-კავკასიის მხრის აღმოსავლეთ ნაწილის წყლებში
ის ნაწილი გარდასხედელ ფულისა, რომელიც შეწერილი
აქვთ, მაგრამ ჯერ არ გადაუხდათ. 1894 წლამდე და
რომელიც, 1893 წ. სასოფლო მეურნეობის წესდ. მე-
646 მუხ. მე 2 სხლ. და მე-769 მუხ. ძალით, სა-
ზინაში უნდა იქმნას შეტანილი, ხოლო სამას მანეთ-
ზედ არა უმეტესი კი თითოეულს.

16) ეპატოთ დღევანდლამდე გარდაუხდელი შემო-
სატანი ფული: ა) მინისტრთა კომიტეტის 1868 წ.
22 ნოემბერს და 1876 წ. 14 მაისს უმაღლესად
დამტკიცებულ დებულების ძალით მუშანის გარდასხე-
დებულთათვის მიცემულ სესხისა, რომელთაც ისარ-
გებულს ამ სესხით და მუშანის ნაშირად დაბინდრდნენ,
— უფულ სესხზედ ას-რემოც-და ათ მანეთზედ არა
უმეტესი, და ბ) აღარ გამოერთვით უფულ სესხის აწ-
ვალად მუთვ არა ნახევარზედ უმეტესისა მუშანის
თვეზის მწარმოებელთ, რომელთაც ეს სესხი მიცემული
აქვთ სახელმწიფოს საბჭოს 1886 წლის უმაღლესად
დამტკიცებულ აზრის საფუძველით.

17) აღმოიწინეს ანგარიშიდგან ის ზარალი,
რომელიც დღევანდლამდე მოსულია საზინას ჯარის-კაცთა,
ამათ ცოლთა და ქვრივთა სასარგებლოდ შემწეობის
უპრობად დანიშნის გამო, იმ შემწეობისა, რომლის
გარეშად დადგენილია უმაღლესად დამტკიცებულის 1867
წ. 25 ივნისს სამსახურ გარეშე მუთვთა და უფადოდ
დათხოვილთა ჯარის-კაცთა მოწეობის დებულებით,
1872 წ. 6 ივნისს პოლენეთის სამეფოს საქმეთა

კომიტეტის დებულებითა, 1875 წ. 18 ოქტომბერს
სახელმწიფოს საბჭოს აზრით და აგრეთვე სამსჯელ.
ბეატ. წესდ. მე-33 მუხლით.


18) ეპატოთ სამსახურ გარეშე მუთვ ჯარის-კაცებს,
ამათ რჯახობათა და გლეხთა დამკვიდრთ მცხოვრებულთა
საზოგადოებოთ დღევანდლამდე ის შესატანი ფული,
რომელიც უნდა გადასდეს ხსენებულ ჯარის-კაცებსა და
ამათ რჯახობის წევრთ საზინის სახადმყოფოებსა და
სამეურნეობებში წამლობისათვის და აგრეთვე დღევან-
დლამდევე ვალი უვალა იმათ, რომელიც სასახლას უწ-
ეების სახადმყოფოებში წოლილან და ხარჯი არ
გადაუხდათ.

19) ნულარ გადასხედებთ 1894 წ. პირველ იანვარ-
მდე ვალად დაჩენილი სსკა-და-სსკა გუბერნიების თავად-
აზნაურობაზედ ის ფული, რომელიც უნდა გადაესდათ
საერო განათლების სამინისტროს სასწავლებლების პან-
სიონებში მუთვ თავად-აზნაურთა მოსწავლე შეილების
ხარჯად; ამასთანავე აღმოიწინეს საერო განათლების
სამინისტროს განსაკუთრებულ შემდების ანგარიშიდგან
ხარჯი წინანდელ წლებისა და 1893—94 წ. მეორე
ნახევარ წლისა, ე. ი. 1894 წლის პირველ ივლისამდე,
როგორც მამათა, ისე დედათა სასწავლებლებში სწავლისა,
ლექციების მოხმენისა და პანსიონში ცხოვრებისა.

20) ეპატოთ ნაწილი იმ სესხისა, რომელიც
ალტაის და ნერხინსკის სამთო რეჟებში აქვთ მიცემული
მოხელეებსა, განცულობის მოსამსახურეთა და დაქირავე-
ბულთ მსახურთ შინა საქმეთა მოსაწყობად და მოსა-
გვარებლად იმ პირებით, რომ ჯამაგირიდან გამოეწი-
ნათ ხოლმე, რაც კი დღევანდლამდე გარდაუხდელია;
ხოლო ეს შეღავათი არ მიცემათ იმ მსესხებულთ,
რომელთაც წელიწადში სამასს მანეთზედ მეტი ჯამაგირი
აქვთ.

21) ეპატოთ უფული გამოსარცხი ფული იმათ,
რომელთაც დღევანდლამდე მეტი ფული წაუღიათ საზი-
ნიდგან პენსიისა ანუ ალტაისა და ნერხინსკის სამთო
რეჟების ქარხნების ფულისა, თუ ბრალი არ ეღებთ
და სამართალში არ არიან მიცემულნი იმას გამო, რომ
გახდრას, ანგარებთ ანუ სსკა არა კანონიერ საგნით
ზარალი მათყენეს საზინსა.

(შემდგომი იქნება).



მწყმისი



მე ვარ მწყმისი კეთილი: მწყმისმან კეთილმან სული თვისი დაქსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სინარული ცათა შინა, ერთისათვის ცა აღილისა. (ლევ. 15—1).

მოკვდიოთ ჩემდა უოველნი მასურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 23—24

1883—1894

1—30 დაკემბერს.

შინაარსი: ოფიციალური ნაწილი: უმაღლესი მანიფესტნი.

— არა ოფიციალური ნაწილისა: 1894 წელიწადი.—იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატების კრება ქ. ქუთაისში.—ეკლესიის კურონება სოფ. უშაბათში.—სოფ. ალისუბანი.—მაცხოვრის შობისა გამო (ლექსი).—ახალი ამბები და შენიშვნები.—წმ. მოწამე შუშანიკი.—განცხადებანი.

1894—1895 წ.

წარსული წლის დამლევს დიდის აღტაცებით, დიდის აძბით და სინარულით ვგვებობდით ამა მიმდინარე 1894 წელს. კვერთხა, ამ წელში ბევრს რასმეს გავაკეთებდით, ბევრს რასმეს შევიძენდით, წინ წავიწვევდით, ბევრ ცუდ საქცეულს მოვსზობდით და კეთილ ქრისტიანულ ცხოვრებას დავამყარებდით ჩვენს სამწესოში; მაგრამ ბევრი ნატურა-მოლოდინი

არ აცვისრულდა; ბევრი ჩვენი გულის თქმა ისევე გულის თქმად დარჩა და სისრულეში ვერ მოვიყვანეთ; ვერ აღვისრულეთ ჩვენი გულის წადილი, ბევრს რასმეს კეთილს ვფიქრობდით ჩვენი თავისა და სამწესოსათვის, მაგრამ ხელი შეგვიძალა ზოგს სიღარიბემ, ზოგს ოჯახის გარემოებამ, ზოგს ტყულა უბრალოდ დროს გატარებამ და სხვათა კიდევ სხვა მიზეზებმა.

ერთმა წელმა, სამას სამოც-და-ხუთმა დღემ ისე ძალე გაიარა, ასე გკვერთხა, თითქოს

წარსული წლის დეკემბრის ლა რიცხვი გუშინ უოფილიუოს. ასე გარბის ჩვენი ცხოვრება ღ ჩვენც ძალაუნებურად მივჩანჩალებთ უკან; ვფიქრობთ, რომ ჯერ ახალგაზდები ვართ, იმედი გვაქვს, რომ კიდევ მოვესწრებით ვეკლავფერს. თავს ვაიმედებთ მით, რომ კაცი თავის სიცოცხლეში ბევრს რასმეს გააკეთებს. მართალია, კაცი თავის სიცოცხლეში ბევრს რასმეს გააკეთებს, მაგრამ იმ პირობით კი, რომ აწუო დღის საქმე მეორე დღისთვის არ გადადვას, ამ წლის საქმე მეორე წელში არ გადაიტანოს. თავის დროზე თუ არ გაკეთდა საქმე, თავის დროზე თუ არ ითქვა სათქმელი სიტყვა, ის საქმე და სიტყვა მკვდარია ჩვენთვის და ჩვენ აღარ მოვესწრებით მის გაკეთებას და მის თქმას სხვა დროს..

ვეკლავ ჩვენგანი ცხადათ გრძნობს, რომ ჩვენმა მოღვაწეობამ შესამჩნევი კვალი ვერ დააჩინა ცხოვრების სარბიელზე. რისთვის? მისთვის, რომ ჩვენში არ იყო ერთსულობა და ერთგულობა.

ღიას, ჩვენ ჯეროვანად ვერ ვასრულებთ ჩვენს თანამედრობას და მოვალეობას, და ამიტომაც ჩვენი სამსახურით შესამჩნევე კვალს ვერ ვამჩნევთ ცხოვრების სარბიელზე.

ღმერთო, შენ მოგვანიჭე ერთსულობა, ერთგულობა და სიყვარული საქმისა! ღმერთო, შენ მოგვანიჭე სწავლა და მეცნიერება მსახურებისათვის შენდა სადიდებლად, ჩვენდა სამწესოთა სანუგეშოდ და მამულის სასარგებლოდ, მშვიდობით, 1894 წელიწადო! ღმერთმან კარგი ფუნით წაგიყვანოს.

მშვიდობით თქვენც, ჩვენო სიყვარულნო მკითხველნო! მაკილოცამთ წარ-

სული წლის მშვიდობით გატარებას და მოძალადი წლის ბედნიერად მიგებებას. სრული იმედია, 1895 წელშიაც ჩვენში არ გაწუდება ის მძური კავშირი, რომელიც დღემდის სუფევდა.

დევ. დ. ლამბაშიძე.

იმერეთის ეპარქიის სამღვდელთების დებუტატების კრება ქ. ქუთაისში 23, 24 და 25 ნოემბერს 1894 წ.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, იმერეთის ეპარქიის სამღვდელთებს დებუტატებს კრება ჰქონდათ ქ. ქუთაისში წარსული ნოემბრის 23, 24 და 25 რიცხვებში. კრება იყო დანიშნულა როგორც ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლის ისე ქუთაისის სასულიერო სემინარიის საქმეების შესახებ. პირველ დღეს, 23 ნოემბერს, გამოცხადდა საკმაო რიცხვი დებუტატებისა, რომ კრება გახსნილაყო. კრებამ აღიზიანა თავსმჯდომარეთ დევ. დ. ლამბაშიძე და საქმის მწარმოებლად მღვდელი იუსტინე ტაბიძე. 24 ნოემბერს კრება შეუდგა სასულიერო სასწავლებლის სამმართველის, ყოვლად სამღვდელია და სემინარიის ინსპექტორის წინადადებათა განხილვას.

პირველად კრებამ განიხილა წარსული 1893 წ. ანგარიში სასწავლებლის ხარჯთა აღრიცხვისა. რომელიც დაბეჭდული დაუზიგდა სამღვდელთებს. ხსენებული ანგარიში შემდეგ ცოტაოდენი მსჯელობისა და განხილვისა დაამტკიცა კრებამ; მხოლოდ სამღვდელთებამ საქიროდ დაინახა ეთხოვა მღვდელმთავრისათვის, რომ ამერიდგან სმეტის გარეშე ნუ მოახდენენ რაიმე ხარჯსო.

შემდეგ განხილულ იქმნა სასწავლებლის მომავალი წლის ხარჯთა აღრიცხვა. სმეტით სამღვდელ-

ლოებას ეთხოვებოდა 14 ათას მანეთზედ მეტი. სამღვდელოებას ყოველ წლევ შექვეს სასწავლებლის შესანახავად ცამეტი ათას ორას ოთხმოცდა ცხრა მანეთი. ამას გარდა სამღვდელოებას ეთხოვებოდა ათას ორას მანეთამდე, რომელიც დაუხარჯავსთ გარეშე პანსიონერებზე საერო წოდებისაგან სწავლის უფლებისათვის შემოსულ ფულებიდან; ეს 1200 მ. სასწავლებლის სამმართველოს სესხებითი სახით დაუხარჯავს, რადგან სამღვდელოებისაგან შემოსული ფულები აღარ ჰყოფნიან. სამღვდელოებას ეთხოვე-ბოდა კერძო ბინებზე მცხოვრებ პანსიონერების შესანახავად სამი ათას მანეთამდე. უწმიდესი სინოდის განკარგულებით ამ წლიდან სასწავლებლის იმ მასწავლებლებს, რომელთაც სწავლა დამთავრებული აქვსთ სემინარიაში და რომელთაც წელიწადში 12 გაკვეთილზე 420 მანეთი ეძლეოდათ, ემატებათ 80 მან. და ამ ფულებსაც სთხოვდა სამღვდელოებას სასწავლებლის სამმართველო იმ მასწავლებელთათვის, რომელნიც ნსახურებენ სასწავლებლის პარალელურ და მოსამზადებელ კლასებში. წინეთ ამ მასწავლებელთ თითოეულ მომეტებულ გაკვეთილზე ეძლეოდათ ოცი მანეთი და ესა სინოდის განკარგულებით ემატებათ ორუმიანი, ე. ი. ეძლევათ სამი ორუმიანი. ეს ფულსაც ეთხოვებოდა სამღვდელოებას.

სამღვდელოებამ შემოსავლის ახალი წყაროს გამოჩინება შეუძლებლად დაინახა, ამისათვის კრებამ ხარჯთა აღრიცხვის განხილვას მიუქცია ფიცხელი ყურადღება. შეშისა და მოსამზახურებისათვის იმოდენივე ფულები იყო მოთხოვნილი, რამდენიც ითხოვებოდა იმ დროს, როდესაც სასწავლებელში იყო პანსიონი. წყალზე პანსიონის დროს ხარჯებოდა 18 თუმანი და ესააც ამდენსავე ითხოვდნენ. ერისკაცის შეილებიდან სწავლის უფლებებისათვის მოსამზადებელ კლასებს გარდა, შემოსავლად ნახევრები იყო ექვსი ათას მანეთზე მეტი და ამ ფულებიდან სამღვდელოებას უფლება არ ეძლევა თავის შეჩედრულებით სასწავლებლისათვის მოახმაროს რამე.

ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ კრებამ ერთხმად გარდაწყვიტა შემოკლება სასწავლებლის შესანახავი ხარჯთა აღრიცხვისა, მასწავლებელთა ჯამაგირებს შეუხებლად, 900 მანეთით; უარი განაცხადეს სემინარიელ მასწავლებელთ კიდევ 80 მანეთის ჯამაგირის მომატებაზედ. სინოდს დღეს დაინახა საჭიროდ 420 ჯამაგირზე ოთხმოცი მანეთის მომატება, როდესაც ამ განკარგულებას თუთხმეტი წლით წინ უსწრო იმერეთის სამღვდელოებამ და თავის კრებაზე 1879 წელში ყველა მასწავლებლებს 500 მ. გაუხადა წლიური ჯამაგირი 12 გაკვეთილისთვის; ამისთვის ესა კიდევ 80 მ. მომატებაზე უარი განაცხადა.

კრებამ განიხილა სიები სამღვდელოებისაგან შემოსავალ ფულთა და აღმოჩნდა, რომ 1891 წელში გარდაწყვეტილი წლიური შემოსავლიანი ფულები ქუთაისის ქალაქის სამს ეკლესიის კრებულს: პეტრე პავლეს, სასაფლაოს მთავარანგელოსის და საფინჩის ამალღებისას ერთი გროშიც არ შემოაუტანია. ეს, რასაკვირველია, ამ ეკლესიის ბლადოჩინის სისუსტეს უნდა მიეწეროს, თორემ რა უფლება ჰქონდათ მათ თავი გაენთავიანდებინათ იმ გარდასახადისაგან, რომელსაც იხდა მთელი სამღვდელოება, და რომლის გარდაცა გარდაწყვეტილია კრების ქუჩნაღით და დამტკიცებული მღვდელმთავრისგან. კრებამ გარდაწყვიტა შემოაუტანელი ფულები 550 მანეთამდე უთუად შემოიტანონ და ყოველ წლობით იხადონ ერთხელვე დადგენილი გარდასახადი, როგორც იხდიან ყველა კრებულნი ეპარქიისა.

არა მცირე ბაასი გამოიწვია ამ კრებაზე, როგორც ყოველთვის, ერისკაცის შეილებისაგან სწავლის უფლებისათვის შემოსული ფულების დანიშნულებაში. არ იქნა და არა, ვერ გამოიჩინა კიდეც ამ ფულების დანიშნულება. ამ ფულების შესახებ ერთი მუხლია სასწავლებლის წესდებაში, რომელსაც მასწავლებელნი და სასწავლებლის გამგენი სხვა ნაირად ხსნიან და სამღვდლოება სხვა ნაირად. ეს

მუხლი აპოპს: ერისკაცის შვალესაგან შემოსული ფული უნდა მოხმარდეს სასწავლებლის კეთილმდგომარეობას (на благоустройство) და თუ ამ ხარჯს გადარჩა შეიძლება საჩუქრად მიეცეს მასწავლებლებს და განაკურთხებთ რუსული ენის მასწავლებელთა ზედა კლასებშია. საძღველოებას ეუბნებან, რომ ეს ფულები არ შეიძლება დაინარჯოს პანსიონერებზე, სახლის «რემანტზე», მოსამსახურეთა დასაქრავებლად, შეშაზე, წყალზე, ექიმის დაქირავებზე, საავთმყოფოზე და სხვა ამისთანაებზეა. აგერ წინაზე საძღველოებას გამოუცხადეს, რომ სასწავლებელი ირდევია და სამღველოების ფულები დაინარჯა 3500 მ. და ამდენს კადევ თხოვულობდენ. ამისთანა ხარჯზე ერისკაცის შვილები დამ შემოსული ფულები არ შეიძლება დაინარჯოსო და სხე.—მაშ რაზედ უნდა დაინარჯოს? არაფერს ვიტყოდით ამაზე და არც სამღველოება მიაქცევდა ყურადღებას, რომ ეს ფულები ცოტა იყოს. არც ერთ სასწავლებელში არ იქნება იმდენი ერისკაცის შვალეები, რამდენიც არის ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. სხვას თავი დაენებოთ და ის იყო სამწუხარო, რომ ეხლანდელი ზედამხედველის გარდა სხვა ზედამხედველები ამ ფულების შესახებ ანგარიშადაც არ იძლეოდენ, ამბობდენ: სამღველოებას უფლება არა აქვს ამ ფულებზე ანგარიში მოახოვოსო!!.

ეხლანდელმა კრებამ ერთხელ გარდაწყიტა: «ეთხოვოს მისს ყოვლად უსამღველოესობას იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს, რათა იშუამდგომლოს უწმიდესის სინოდის წინაშე, რომ ერისკაცების შვილებისაგან შემოსული ფულები მთლად სასწავლებელს მოხმარდეს საძღველოების სიღარიბისა და ჩვენი სასწავლებლის განსაკუთრებული მდგომარეობის მიხედვით. თუ მათმა მეუკებამ ესრეთა შუამდგომლობა არ იწებოს, რამელიავე მოსახრებათა გამო, მაშინ მიენდას ჩვენ გან დეკ. დ. ლაშაშიძეს, თხოვნა მიართვას უწმიდეს სინოდს და ითხოვოს, რომ სინოდმა მოგვანიტოს უფლება ერისკაცის შვი-

ლებისაგან შემოსული ფულები სწავლას უფლები-სათვის მთლად სასწავლებელს მოხმარდეს და ან სრულებით განთავისუფლებული ექნეთ ერისკაცის შვილებისაგან და ნუ იქნებიან მიღებული იგინი, რადან ერისკაცის შვილები იქერენ მომეტებულს აღგილს სასწავლებელში და სამღველოება იძლეული ხდება პარალელური კლასების ხარჯი იხადოს».

25 ნოემბერს, დილით, ათ საათზედ გაიხსნა კრება, რომელსაც თავმჯდომარემ, თანახმად უწმიდესი სინოდის უქაზისა, მისცა წინადადება, თუ რას შეეწევა სამღველოება თავის საშუალებიდან ქუთაისის სასულიერო სემინარიის სახლის ასაშენებლად, ან რა წყარო შეუძლია უჩვენოს ამ სემინარიის სამუდამო შესანახად. კრებამ ჯეროვანის მოფიქრებისა და გამოკვლევის შემდეგ შესწირა ერთ დროებითად ამ სემინარიის სასარგებლოდ ჩვიდმეტი ათასი მანეთი და ნიადაგ წყაროდ ფულის შესაგლისა სემინარიის შესანახად თავის მხრით მიუთითა იმ საეკლესიო ხაზინის ფულებზე, რომელიც იმერეთიდან და სამეკრელოდან იგზავნება თბილისის სასულიერო სემინარიაში ყოველ წლობით და რომელი ფულიც შეადგენდა არა ნაკლებ თუთხმეტი ათასი მანეთისა; ამას გარდა სამუდამო წყაროდ უჩვენა სანთლის ქარხნის შემოსავალი, რომელი შემოსავალიც მცირე წყაროს არ შეადგენს, თუ ამ ქარხნის საქმე რიგიანად იქნა დაყენებული. სამღველოებამ ცხადათ აუხსნა მართებლობას თავისი ღარიბული მდგომარეობა და მასთან აღუთქვა, რომ თუ მათ გაუმართლდათ ის აღუქმდა იმედი, რომელიც გამოცხადათ სამღველოებისათვის ჯამაგირების დანიშვნის შესახებ, მაშინ იგინი უზრუნველ ჰყოფენ სემინარიას ნიეთიერად... განაცხადეს, რომ დღეს მათ აღარ შეუძლიათ მეტის გაუდახდა, რადგან ოთხ-კლასიან სასწავლებელზედ ყოველ წლობით ეხარჯებათ 13 ათასი მანეთი, ქალების სასწავლებელზე 8 ათასი მანეთი და სამუდამო ხელშეუხებელი თანხის შესადგენად ყოველ წლობით იხლან 4 ათას

მანეთს. ეს გადასახადი გაგრძელდება, ვიდრე 50 ათასი მანეთი არ შედგება.

შემდეგ ამისა თავსმჯდომარემ მიმართა კრებას შემდეგი სიტყვით: „მამანო დებუტატო! მოგეხსენებათ, რომ ქუთაისის სემინარიის თითოეულ კლასში ორმოცი მოწაფის მეტის მიღება არ შეიძლება, მაგრამ სინოდმა მოახდინა განკარგულება თხოვნისა გამო რომელთაზე პირთა, რომ ამ წელში 50 მოწაფე მიეღოთ და კიდევ მიიღეს ათი მოწაფე, რადგან შეიძლება შემდეგში ორმოცის მეტი არ მიიღონ, ჩემს აზრით, საჭიროა ეხლავე ვითხოვოთ სხვა თუ არა, ის მაინც, რომ ას სემინარიის ყოველ კლასში 50 მოწაფეს იღებდნენ ხოლმე ყოველთვის. კრებამ ერთხმად დაადგინა: «ეთხოვოს ყოველად სამღვდელთს იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს იშუამდგომლოს უმაღლესის მართებლობის წინაშე, რომ ქუთაისის სემინარიის ყოველ კლასში იქნეს მიღებული 50 შაგირდი, რადგან ეს სემინარია არის განხილვილი მთელი დასავლეთი საქართველოს სამღვდელთებისათვის.

კრების გამოთავს რამდენიმე დებუტატმა აღძრა კითხვა სემინარიის სახლის ასაშენებელი ადგილის შესახებ. თავსმჯდომარემ გამოუტყდა კრებას, რომ სემინარიის სახლის ასაშენებლად ადგილი მართებლობას, თითქმის არჩეული აქვს და ამაზედ ბაასი უადგალო იქნებაო. «ნაციხვარი» ძლიერ ცოტა არის სემინარიის სახლის ასაშენებლად, მაგრამ ბაგრატიის ტაძრის ზემო გვერდი ადგილი, რომელიც დღემდის ღოღაბერიძეებს ეკუთვნოდა, მაგრამ დღეს ნაშდელი საბუთებით საეკლესიო აღმოჩნდა, მშენებელი ადგილია სემინარიისათვის და ჩემის აზრით ჩვენ თვითონ ვითხოვოთ მთავრობას, რომ სემინარიის სახლი უსათუოდ ამ ადგილზე აშენდეს. ეს ადგილი ჰავეით და მდებარეობით ყველა ადგილს სჯობს ქუთაისში. წყალიც ადვილად გამოიყენება ამ ადგილზე დასავლეთ-ჩრდილოეთის მხრიდან და გზაც მშენებელი გაკეთდა ეხლა გორაზე. სწორეთ ამ ადგილზე იყო სასახლე მეფის ალექსანდრესი და ქათალიკოსისა, როდესაც რუსეთის მეფის ალექსი მიხაილი ძისაგან გა-

მოგზავნილი კაცები მოვიდნენ საჩუქრებით ქუთაისში. ზოგიერთები ამბობენ, რომ კორაზე სიარული საძნელო იქნება შაგირდებისათვისო, მაგრამ ეს მიზეზი უსაფუძვლოა: სემინარიის ყველა მოწაფენი ვალდებული არიან თვითონ სემინარიაშივე იცხოვრონ.

სამღვდელთების კრებამ ერთხმად განაცხადა სურვილი, რომ სემინარია უთუოდ ამ ადგილზე აშენდეს, რადგან ყოველთვის სამღვდელთებს სემინარიის სახლის ასაშენებლად ეს ადგილი ჰქონდა სახეში და არა სხვა, როგორც ეს ეხლა ცხადაა სხანს სემინარიის დაარსების თაობაზე 1875 წელში შემდგარი საქმისაგან.—იყო კიდევ სხვა კითხვებიც აღძრული და გარდაწყვეტილი, მაგრამ ჩვენ მათ არ ვებხებით, რადგან მაკდენად შესანახნენი არ ყოფილან.

25 ნოემბრს, საღამოს კრებამ დაასრულა თავისი საქმეები. დებუტატებმა ხელი მოაწერეს შემდგარ 14 ქურნალს და ყველა დიდი მადლიერი წაეღა შინ. კრების გამოთავს, თითქმის, ყველა ამას ამბობდა: სწორეთ კარგა ხანია, რომ ასე წყნარად, ასე ერთგულობით და ერთსულობით მსჯელობა არ ყოფილა კრებაზე და ღმერთთა ვითხოვთ, რომ შეკლევშიაც ეს ასე სწარმოებდეს ხოლმე.

დამსწრე.

გვერდის კურთხევა სოფ. უშაბათში (სენაკის მაზრაში) 10 ოკტომბერს 1894 წ.


დღეს აღვისრულდა სურვილი, რომლის განხორციელებას დიდის ტანჯვით და ვაებით ვცდილობდით მე და ჩემი ღარიბი ორმოცი კომლი მწველი. დღეს დაგვიშვილდა გული, რომელიც, ეს ოთხი წელია, ამის გამო ძვრდა. ჩვენთან ერთად ბავშვებიც რალაც განურკვეველის ალტაცებით მოუ-

ლოდნენ ამ ეკლესიის საკუთხად დანიშნულს დღევანდელს დღეს. ალბათ, უხაროდათ ამ ტაძარში ღვთის-მსახურებაზე დასწრება. ამდენს ხანს თავის ეკლესიაში ღვთის-მსახურებას მოკლებულთ უხაროდათ, რომ ელირსათ საკუთარს ეკლესიაში თავისუფლად დგომა და ღვთ-სვედრება. მრეგლმა დიდი შრომა და ხარჯი გასწია ამ ეკლესიის აშენების შესახებ. ოკტომბრის თვის ათს აკურთხეს ეს ეკლესია წმ. გიორგის სახელობაზე.

9 რიცხვს, საღამოს ხუთს საათზე მობრძანდა მისი მეუფება, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგორი, რომელსაც ეკლესიის გაღაფანში მიეგება ადგილობრივი კრებული აუარებელი ხალხით და ზარების რეკით. მისი მეუფება შებრძანდა ეკლესიაში. ეკლესიის კურთხევა დაიწყო ამ საღამოს დამსთვეის ლოცვით... მეორე დღეს, დილის 8 საათზე, დაიწყო ეკლესიის კურთხევა. ეკლესია სამეც იყო მლოცველებით; ყველა მახლობელი სოფლებიდან შეგროვდა ხალხი დასასწრებად ეკლესიის კურთხევის დღესასწაულ ობაზე. ზუგდიდის მზრიდამაც იყო ხალხი მოსული. წირვის გათავების შემდეგ მისმა მეუფებამ მიმართა მლოცველებს შემდეგი სიტყვით: «მოგილოცავთ თქვენ, მართლ-მადიდებელნო ქრისტიანნო, ამ სულიერ ზნაარულებას, ამ ეკლესიის კურთხევას. ახლა ეს ეკლესია შეიქნა სახლად ღვთისა, რომელიც იტყვის: «წ აღვირჩიე და ვაკურთხე სახლი ესე, თვალნი ჩემნი იქმნებთან აღზოლულ და ყურნი ჩემნი მიმართულ ლოცვისადმი სახლისა ამის». ეკლესიას მართლ-მადიდებელთათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს არის სამყოფი თვით ღვთისა და ადგილი მისის წმ. საიდუმლოთა შესასრულებელი. ტაძარში უფროდებთან ერთმანერთს მორწმუნენი. ეკლესია ზორწმუნეთათვის არის ნუგეში და მზიარულება. ეკლესიაში ქრისტიანე სულით ეძლევა განსევ; ნებას ქვეჩიური ამაოებისაგან; ეკლესიაში ქრისტიანე აქებს და აღიდებს ღმერთსა, რომლისაგან მიიღო მან არა მარტო ნივთიერი კონება, არამედ თვით სიცოცხლეც. ამისთვის ყოველი ქრისტიანე მოვალე არის ნიადგ ზრუნავდეს ეკლესიის გამშვენებას. ეკლესიის შენობის მზრუნველობასთან ერთად თქვენ უნდა იზრუნოთ თქვენი სულის ტაძრისათვისაც. სხეული არის ტაძარი სულის

წმიდისა. ეს ღვთის სული, რომელიც სცოვრობს თქვენში, არ უნდა გააქროთ თქვენში. თქვენ უნდა ზრუნავდეთ ზნეობრივი სისრულით და კეთილი საქმეებით გაიმშვენოთ თავი. თუ თქვენ იცხოვრებთ უკანონოდ, მაშინ არ იქნებით ღირსი, რომ თქვენში იცხოვროს ღვთის მადლმა. როგორც ამ ეკლესიის გასაწენებელს მასლას თქვენ ამზადებდითთან, ისე უნდა მოამზადოთ თქვენი თავი კეთილი საქმეებით და ზნეობრივად, თუ გინდათ, რომ თქვენში მუდამ იცხოვრებდეს ღვთის მადლი. ამასთან, საჭიროა, მოიყვანდეთ ეკლესიაში ბავშვებს, რომ მიეჩვიონ ისინი ეკლესიაში სიარულს და ლოცვას. რასაც შეხედავს და გაიგონებს ბავშვი, იგი ყოველივეს უცებ შეითვისებს. საჭიროა ისინიც მიეჩვიონ ეკლესიაში სიარულს და ლოცვას. აღზრდაზე და მოკრძედილი მათი ზომავალი. საჭიროა სახლშიაც აუხსნათ ხოლმე ბავშვებს ეკლესიაში სიარულის და ლოცვის საჭიროება. შთაგონებდეთ მათ ღვთის შიშს და მიაჩვენდეთ მაცხოვრის მცნებათა აღსრულებას. ითუ ამ სახით აღზრდით შეიღებს, მაშინ ისინი შეიქნებიან ნამდვილი ქრისტიანენი და საზოგადოებებს სასარგებლო წევრნი». ეკლესიიდან გამოსვლის შემდეგ მისმა მეუფებამ აკურთხა მლოცველები და დაურბა ყველას წმ. ჯვრები. ეკლესიის კურთხევის დღეს სამრევლომ გამართა სადილი, სადაც ბრძანდებოდა მისი მეუფებაც თავისი კრებულით. შემდეგ სადილისა მისი მეუფება თავისი კრებულით წაბრძანდა ფოთში. დიდ ხანს დარჩება დაუფიქვარი ეს დღე ყველა იქ დამსწრეთათვის. ამ ეკლესიის შენობის აგებაში დიდი ღვაწლი მიუძღვისთ: ადგილობრით ბლაღოჩინს, მ. ს. ქავთარაძეს, მღვდელს მ. მაქსიმე გოგინავას, აზნაურთ: კობტა და ალმასხან წირღვაეებს, ევკენი და თეიმურაზ გოგინაეებს, რომელნიც ღირსნი არიან მადლობისა.

მღვ. კიწ. დანკლას.



სოფელი ალისუბანი.

(შორაპნის მახრიდამ)

თათქმის ათი წელაწადი მეტა გავლა მასაქეთ, რაც რომ ალისუბნის მთავარ-ანკელის ეკლესიის მრევლს თავის საკუთარს ეკლესიაში წირვა-ლოცვა აღარ მოუხმენათ, ეკლესიის უქექლოლობის გამო. დღეს კი, 16 ამა ნოემბერს, ღეთის მადლოთ, ღარსნი გაეხდით ახალი ქვას ეკლესიის კურთხევისა და მასში წირვა-ლოცვის მოსმენისა. ეკლესიას კურთხევა და ამ დღეს ყოველად სამღვდელთა გაბრეღოს მიერ წარმოთქმულმა ქადაგებამ, მრევლი გააძნევა და საზოგადოთ გაუღვიძა ხალხს სურვალი ქველას მოქმედებისა და წირვა-ლოცვის მოსმენისა.

ხალხი ცოტათ თუ ბევრად მიხვდა, რომ ეკლესია რაც უფრო კაი მართულაი, მათ უფრო სასიამოვნოა მასში წირვა-ლოცვის მოსმენა; ამისათვის ყველი პირა ცდარობს ცოტა რაამე წკლილი მანც შესწიროს ჩვენს ახალს ნაკურთხს ეკლესიას. მაკალითად ბ. ნიკო ჩკვიციანი თავის ხარჯით შექოსა ტრაპეზნი, გააკეთებინა სული წიხლის სხვი, მაცხოვრის ჯვარცმის ხატი და შექოსწირა ოთხი დადი ხატი, დაწერილი ფიკარზედ; აგრეთვე გოქხაალექსანდრე თურქაძემ, მცხოვრებმა სოფელ ალისუბანში, შემოსწირა მღვთის მშობლის ხატა და ოღაკას სასყიდლოდ შემდგომმა პირებმა შემოსწირეს ფული: იოსებ თურქაძემ, კირილე თოთლაძემ, მახელო ბოჭორაშვალმა და ვლადიმერ ხუჯაძემ.

გულისხმობს მადლობას უძღვნათ ამ პირებს და ესთხოვეთ ღმერთს, რომ მათ მიუძღველი ალმარხნოდესთ.

მღვდელი მის. ბუხნიძე.

მაცხოვრის შობის გამო.

(სახსოვრად ღვთაე-განსვენებელის სკოლისთვის ალექსანდრე მესამის, მშვიდობის ყოფლად წოდებულისა).

ცას, მტრედის ფრად მოწმენდილსა, გადაჰკვირან ვარსკვლავები და მაცდურად მის სიერცემა მიმორბიან, ვით ცელქები. იმათ მზურნველ დედასავით ნაზად შეტრფის ბაღრა მთვარე, სიყვარულის შუქს ესერის მათ მკრთალ—ფეროვნად მოელვარე.

• სიჩუმეა... ნიაფი კი სდღაც ამ დროს მიმალულა, და ბუნებაც, დიდებულა ზეშვიდით გამაქველულა. მალლობა ადგილს გაშენებულს ქალაქს ბეთლემს ტკბილად სძინავს, წინარა ღამის საფარველი იმის არე-მარკს ჰპურავს... ცელქი, მარდი და ანკარა რუ მას გვერდით მოჩუხჩუხებს და უმღერის მის მიღამოს საამურსა ძილის-პირებს. სძინავს ბეთლემს... ამას თავსა დაცქერია კლდე ტიტველი; კლდის ნაპკალღებს მთვარე დანათს, უღინია მას მის ნათელი. ამ კლდის პარას ბალახს სძივენ პირუტყვები მწვანე კორღზედ... ორი მკუყმსი მეგობრულად საუბრობენ, მსხ ღომნი ქეაზედ: „შობის დღადან ვიტანჯებით“, ამბობს ერთი მწყემსთავანი, სიკვიდმდე არ გაკვანახარებს წუთისოფლის წკალებანი. სიღარიბით ვიხარებებით, გვენატრება ლუკმა პური, მწარე ცრემლებს გვაღვრევენებს ჩვენ ცხოვრება უბედური. გამოქცეებულს კლდეებში გვაქვს პირუტყვებთან თავ-საფარი,

ვგლოვობთ წაე ბედს, მაგრამ ჯერეთ
 ჩვენი მისწვლი არეინ არი.
 მუდამ შიში... ომი... სისხლი...
 არსად ტკბილი მოსვენება.
 გაჰქრეს ეს დრო! ახალ დრო
 ნეტავ როდის გვეღირსება?!
 მრწამს, როდესაც სოფლად მათა,
 განკაცდება თვით ღვთის შვილი,
 მოისპობა ქვეყანაზედ
 ცოდვა, წყვეა და სკედილი!
 სწორედ ამ დროს კლდის შუაგულს
 ცით დადგა ნათლის სეფტი...
 შეკრთენ მწყემსნი... და უცრად
 დაცხათ მათ შიშით რეტი-
 გამოფხიზლდნენ, დაინახეს
 ანგელოზი მათთვის წინა,
 ეუბნება: «წადით იქა,
 პირუტყვების სად გაქვსთ ბინა
 იქა ნახავთ ძესა ღვთისას,
 ძველსა ჩვრებში გამოხვეულს,
 პირ-მღიპარეს, მოცინარეს
 ბაგაშია ჩასვენებულს».
 ამ სიტყვებით შემკრთალ მწყემსებს
 მოეფინათ სიხარული...
 და ღვთის ძესა სანაქავედ
 წაერდენ გაჩქარებულნი.
 ამ დროს ცაზედ გუნდ-გუნდით
 ანგელოზნი დადიოდნენ,
 სირინოზისებურის ხმით
 ამ სიტყვებს გაიზღუროდნენ:
 «დიდება ღმერთს ცათა შინა,
 და სოფელსა კი—მშვიდობა,
 სიყვარული კაცთა შორის,
 სიწმიდე და სათნოება!»
 და მწყემსები კლდის ბილიკზედ
 ამ დროს წყნარად მიმოვალნი
 ისმენდნენ ამ ტკბილ გალობას
 სიხარულით განმსჭვალულნი.

II

მართლაც ქრისტემ გვიქადაგა
 ურთი-ერთის სიყვარული,
 მოძმისათვის თე-დადება.
 სიმშვიდე და სიბრალული...
 თვით ჯვარცმულმა ხალხისათვის
 მან უარ-ჰყო ცეცხლი-ხმალი,
 სისხლისა ღვრა, სხვისა ჩაგვრა,
 ხალხის ქლეტა სატირალი,
 სიხარბე და ანგარება,
 კაცის გულის წამბილწველი,
 და მთავრობის-მოყვარებაც,
 ბევრი კაცის დამტანჯველი...
 თვით ღვთაებამ ნათანს უთხრა:
 „ღვთის, მეფეს ურიგების,
 ჩემთვის ტაძრის აშენება
 გულით მეტად ესურვების.
 მასალაც კი მოამზადა,
 დაიწყოს უნდა ტაძარი...
 მაგრამ ტყვილად ნუ ირჯება,
 ჩემს მაგივრად ეს უთხარი.
 მას უყვარდა მეტის-მეტად
 ხმლის ქნევა და ღვრა სისხლისა.
 დამონება უცხო ხალხის,
 დაწვა მისი სოფლებისა...
 მე მძულს ომი, მძაგს სისხლის ღვრა...
 და არა მათურს, რომ დავითმა
 მე ტაძარი ამიშენოს,
 როგორც მეფეს სისხლის მღვრელმა...
 იმის ძესა მიე-ნიჭებ
 სიბრძნესა და ჭკუას სრულსა,
 მშვიდობას და სათნოებას
 შევყვარებ იმის გულსა...
 მ-ვიდობას და სათნოებას
 მუდამ მოწადინებულა
 ეს ამიგებს მე ტაძარსა
 მკუდროების მოყვარული...

III

ნეტავ მეფეს, ვინაც იყო
 მოყვარული მშვიდობისა:
 ღირსი ის არის ცხებული
 ღეთის ძედ სახელ-წოდებისა,
 არ ეთელი გმირად მას, ვინც იცის,
 კაცს ერთ უნდა ღაცეს ხმალი,
 დაუჩენოს ძვალი-ხორცი,
 დაუბნელოს საწყალს თვალი.
 არ ეთელი გმირად მას, ვინც იცის
 თოფის კარგად დამიზნება,
 რომ ტყვიითა თავის მოძმეს
 დაუბნელოს მან ცხოვრება.
 არ ეთელი გმირად მე იმ მეფეს,
 ვინცა ბევრი სისხლი ღვარა,
 ბევრი ხალხი დაიმონა,
 ბევრს სიცოცხლე გაუწარა.
 ის არს გმირი, ვისაც უყვარს
 სიპართლე და სათნოება,
 ვინც იმათთვის თავს ვაწირავს,
 მათთვის მსხვერპლად იწირება.
 ის არს გმირი, ვისაცა აქვს
 ჭეშმარიტი მოთმინება,
 მტერს შეუნდობს შეცოდებას,
 იცის მოძმის შებრალება...
 იმ მეფეს ეთელი გმირ-მეფედა,
 ვინაც სისხლი არ დაღვარა—
 მოერიდა ბრძოლის ცეცხლსა
 და მშვიდობა დაამყარა...
 მომავალი ასეთს მეფეს
 გაადიდებს, გააღმერთებს
 და მშვიდობისა ძილის პირებს
 იმის სახელს უგალობებს.

ილ. ჩხერიშელის-პირელი.

ახალი ამბები და შენიშვნები.

ზოგიერთმა მღვდლებმა საჩივარი შეიტანეს უმაღლესს სასამართლოში, რომ უკანონოდ დაადეს ჩვენს სახლ-კარსა და მიწასათავად-აზნაურო გარდასახადიო. უმართებელესმა სენატმა განიხილა ეს საჩივრები და განმარტა, რომ ვინაიღვან უფლება პირადეს აზნაურობისა ეძლევათ მხოლოდ მღვდელთა ქერიებს, ამიტომ სახლ-კარი და მიწები თვით სამღვდლოებისა, ვითარცა სასულიერო წოდების წარწარმომადგენელთა, თავისუფალი უნდა იყოს სათავად-აზნაურო გარდასახადისაგანაო.

* * *

«ПРАВИТ. ВЪСТ.»-ში დაბეჭდილია საყოველთაო მიწერალობა მიწათ მოქმედების მინისტრისა, რომელიც ტყის ადგილობრივ სამართველოთა უფლების აღმატებას შეეცება. მინისტრი სახელმწიფო ქონებათა გამგეთ წინ-და-წინვე ნებას აძლევს, თავისი სურვილისამებრ სამსახურისათვის მიწა მოუზომონ ტყის დარაჯთ, ნება დართონ ხოლომე უსასყიდლოდ ხე-ტყის გაზიდვისა ეკლესიებს, მონასტრებსა და ეკლესიის მსახურთ შეღავათით დაუთმონ სახლში მოსახმარებელი შემა ეკლესიის კრებულს, სახელმწიფო გლეხებად ნამყოფთ, რომლებიც დაზარალებულნი იქმნებიან ცეცხლისაგან და მოინდომებენ სახლის აშენებას, ფასი დაუკლონ სოფლის საზოგადოებათ სასწავლებლის ასაგებად, გამხმარი და წაქცეული ხე-ტყე უფაქროდ დაუთმონ და გაავრცელონ ვადა ხეტყის ხელ-შეკრულობებისა და ამკვარი, მაგრამ უფრო შეზღუდული უფლება, მინისტრისაგან ტყის დარაჯთა უფროსებსაც ეძლევათ.

* * *

როგორც ისმის, უწმიდეს სინოდთან არსებულ სამოსწავლო კამიტეტს შეუდგენია პროექტი და

სინოდისათვის წარუდგენია განსახილველად. ხსენებული პროექტი შეეხება საეკლესიო სამრევლო სკოლების მდგომარეობის გაუმჯობესობის საქმეს. პროექტში ბოხსენებულია, რომ თითოეული საეკლესიო სკოლას მიეცეს მიწა არა ნაკლები 15 დესიატინისა. გარდა ამისა თავიანთ საზოგადოებამ უნდა მისცეს საეკლესიო სკოლას საკმაო მიწა სამავალითო პიტომნიკების და ბოსტნების გასაკეთებლად. ამ პროექტის შემადგენელი უამღგომლოებენ მთავრობის წინაშე, რომ ის საზოგადოებანი, რომელნიც ინახავენ საეკლესიო-სამრევლო სკოლებს, განთავისუფლებულ იქმნენ იმ გარდასახადისაგან, რომელსაც ისინი იხდიან სამინისტრო საერო სკოლების შესანახავად.

* *

მომავალი 1895 წლიდამ პეტერბურგში გამოავახალი ჟურნალი სახელად «პეტერბურგის სასულიერო მოამბე». ამ ჟურნალის რედაქტორად დანიშნულია მღვდელი ფ. ნ. ორნატსკი.

მისი ყოვლად უსამღვდელოესობა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი 27 დეკემბერს წაბრძანდა დ. ხონში.

გუბერნიის უფროსმა ხუროთ-მოდღვარმა სხვა ხუროთ-მოდღვრების და გუბერნიის ეკიმას თანადასწრებით დაათვალიერა არქიერის გორაზე ციხე და ლოლაბერიძის ადგილი. ჰაერის მხრით ორივე ადგილი მოიწონეს სემინარიის შწობის ასაშენებლად, მაგრამ ადგილის მდებარეობით უფრო ლოლაბერიძის ადგილი აღმოჩნდა კარგი და საიმედო.

ყველა გამოცემანი როგორც დეკანოზის დ. დამაშიძისა, ისე «მწყემსი»-ს რედაქციისა მსურველთ შეუძლიათ მოიპოვონ წერა-კითხვის გამაერცვლებელ საზოგადოების წიგნთ-საცავში.

«მწყემსი»-ს ხელის მომწერთ ამა წლის დაპირებული საჩუხარის მიღება დაუგვიანდებათ იანერის თვის დამლევამდე, რადგან აღთქმული სურათების დამზადება ერთ მოუხწორით მოსკოვში.


ჯოლო შეისარონის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდლის მაქსიმე ანჯაფარიძისაგან ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდათ შემდეგი წერილი:

მ. რედაქტორა! გთხოვთ ნება გვებძღოთ, რომ შეატყვემული «მწყემსი»-ს საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ ჩემდამა რწმუნებულს სამკველთაგანთ, რომელთაც შემოსწირეს ზემოხსენებული ეკლესიის შესაშვებლად ფული და ნიკოტა. აი სია შემწირველთა: მაქსიმე სურცილაკამ 10 მ., აზ. შელეგიაშვილმა სოლომონ გიორგის ძემ 10 მ., გუმა ივანეს ძემ 8 მ., ბახვა რასტამის ძემ 3 მ., სოლომონ გოსტას ძემ 2 მ.

შეტრე და ივანე ჯღნჯღაკებმა 16 მ., გიგო და სტეფანე გუტას ძე სურცილაკებმა 15 მანეთი, ნესტორ რბიშხიას ძე სურცილაკამ 5 მ., კანტასია, სოლომონ და ზურაბ კარტაშვილმა 20 მ., გუმა ფეცტაიამ 5 მ., იაკობ და თეოფანე შირტაშვილმა 10 მ., ესტატე, შეტრე, ივანე, ნიკო და იაკობ სურცილაკებმა 5 მ., ზურაბ ნემსაძემ 2 მ., დიმიტრი ლასკამ 2 მ., გვატი და ივანე დავითიებმა 2 მ. აზნ. შეტრე ბარკალაიამ 5 მ., გიორგი და მაქსიმე შაქაველმა 3 მანეთი.

ამ კეთილ შიშთა შემოწირული ფულებით ზოგიერთი ნაკლულეკანება ეკლესიისა შეკავსეთ. ვაუიდეო ბაქმი-ფემსუში, ვარსკვლავი, გასაზაკველი, ლასურნი, გვირგვინი, ხაღინა, სანაწილე, სახარების გასაწეობი, რომელზედაც დაიხარჯა სულ 57 მანეთი. დანარჩენი ფულებით გააკეთეთ ტემენტის იატაკი. ახსიანდრატმა იერონმა შემოსწირა ერთი წვეილი სამღვდლო შესამოსელი, ერთი სელი სადაკვერა შესამოსელი, ორი წვეილი დაფარნები ფარნისა, ტრაპეზის და სამკვეთლოის გადასაფარველი ფარნისა და აბრეშუმის ოდიგის შესასველი.

ყველა ამ შიშთ ჩემგან მედამ მოხსენება ექნება. იმედია ამ შიშთ სხვებზეც წაბაძკენ.



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საწმენოებსა და კეთილ- ფსევობაზე.

წმიდა მოწამე შუშანიკი.

ღვთის-მოშიში და კეთილ მსახური შუშანიკი (სუსანა), იყო ასული ქართლის მეფისა; იგი, საუბედუროდ, მიეთხოვა ვასკენს, რანის მფლობელ თავდას. ვასკენი იყო ურჯულთა და ძლიერ სასტიკი კაცი. წმიდა შუშანიკმა მალე გაიგო თავისი მეუღლის ხასიათი, მაგრამ მოთმინებით იტანდა ყოველივე შეწუხებას, მშვიდობიანად ცხოვრებდა ვასკენთან რამოდენიმე წელიწადი და ამ ხნის განმავლობაში შეეძინა სამი ვაჟი და ერთი ქალი. დაბოლოს ისეთი გარემოება მოხდა, რომელმაც სამუდამოდ გააშორა შუშანიკი ქმარს, ვასკენმა უარ-ჰყო ქრისტე და შეიქმნა ცეცხლის თაყვანისცემელი!

ვასკენისათვის ძალა არავის დაუტანებია უარ-იყო ქრისტე, იგი თავის ნებით წავიდა სპარსეთში, წარსდგა შაჰს ფერუხის წინაშე და განუცხადა მასს, რომ შაჰს ერთგულებისაგანა მან უარ-ჰყო ქრისტე და დღეიდგან როგორც სპარსელი, იქმნება ცეცხლის თაყვანისცემელი. ასეთი საქციელი ალბად მიტომ ჩაიღინა ვასკენმა, რომ მოემხრო შაჰი და მასს შემწეობა აღმოეჩინა ვასკენისათვის თუ, ვინიცობაა, უკანასკნელს ომი მოუხდებოდა საქართველოს მეფესთან და ბერძნებთან. ცხადია, რომ ვასკენის ასეთი საქციელი ძლიერ მოეწონებოდა შაჰის, რომელმაც დიდის პატივისცემით მიიღო იგი და მდიდრულად დასაჩუქრებული გამოისტუმრა საქართველოსკენ.

როცა ვასკენი თავის სამთავროს საზღვარს მოუახლოვდა, სარწმუნოების უარის მყოფელმა გაგზავნა თავის სატახტო ქალაქში, ცურტაგში, მოსამსახურე, რომელსაც უნდა ეცნობებოდა მცხოვრებთათვის ვასკენის მოსვლა, რომ იგინი დიდის ამბით მიგებებოდნენ ვასკენს.

მოსამსახურე სისწრაფით მივიდა სატახტო ქალაქში, შევიდა მთავრის სასახლეში და მიესალმა

კნინას და უამბო, რომ მიი მიუღლე მშვიდობით მოპრუნდა. წმ. შუშანიკი, რამელმაც არაფერი არ იცოდა თავის მეუღლის სპარსეთში მოკვებობის შესახებ, რაღაცა ცუდსა გრძობდა; ამიტომ მოსამსახურის მისალმებაზე შუშანიკმა წარბასთქვა: «თუ ცოცხალია სული ვასკენისა, იყენით მოთელი სხეულით როგორც ის, იე შენ; წინააღმდეგ შემთხვევაში მე არა მსურს ეხლო იგი და არც მია შეახებ ამბის გაგონება მსურს და თუ ესეა, შენმისალმება შენვე დაგიბრუნდეს უკანვე». ბოლოს შუშანიკმა სთხოვა მონას, ეამბნა მისთვის ყოველავე სიმართლე. მონამ გულს წმიდათ აუშოა შუშანიკს ყოველივე. წმ. შუშანიკის წინასწარი კრძალვა მართლად გამოდგა და ამ დღეიდგან მის გულში აღმოჩნდა ვასკენის საყვარული და მასთან ერთობა. თვალცრემლიანი და შეწუხებული დაეარა შუშანიკი მტრულზე, მაგრამ არც ერთი სიტყვა დრტუნისა და საყუდურისა არ წამოცდენია მის პირს. მან მხოლოდ წარმოსთქვა: «შებნალებისა და ვასკენი, ვინაიღვან მან უარ-ჰყო ქრისტე და ერთი ქრისტე და შეუერთდა ურწმუნოთ!» შემდეგ სიჩქარით ადგა, წაიყენა ბავშვები და გაემგზავრა წმ. ტაძარში. ტაძარში შუშანიკმა დაიყენა შილები თავის წინ, ტრაქების პირდაპირ, და მხურვალედ დაიწყო ლოცვა და ამბობდა: «უფალო ღმერთო ჩემო! შენგან მანიჭებულთ მყავს მე ეს ბავშვები, შენვე დაიკვე ისანი წმიდა სარწმუნოებაზე და ნუ მოაკლებ მათ სული წმიდის მადლს, რომ იგინი არ იქმნენ მაწყვეტელ კეთილ მწყემსის, უფლასა ჩენისა იესო ქრისტეს ცხვენათგან». როცა ეკლესიიდან გამოვიდა, წმ. შუშანიკმა შილები სასახლეში გაგზავნა, თვითონ კი შევიდა ერთ პატარა სახლში, რომელიც ეკლესიის მახლობლად იდგა და ვასკენთან ცხოვრებას ამჯობინა მიეღო წვალება ქრისტეს სარწმუნოებისათვის.

„მე მიჩენია ვაგვე ვასკენს ხელისგან, ვინემ მასთან ერთად ვიცხოვრო, — ეუბნებოდა შუშანიკი თავის მოძღვარს, — იმიტომ რომ მეშინია არ შეეპილწო სული ჩემი სარწმუნოების უარის მყოფელთან ერთობით!“

ამ დროიდგან იწყება წმ. შუშანიკის წვალება ქრისტეს სარწმუნოებისათვის.

ამასობაში ვასკენი შევიდა ქალაქცურტაგში და, როცა სასახლეში თავის მეუღლა ეკრ ნახა, გახელდა და გარდასწყვიტა, რაც უნდა დამართოდა, მოეკლა შუშანიკი.

ამ მიხნით მან გაუგზავნა შუშანიკს სპარსელი, რომელიც განგებ თვალსრემლიანი ეუბნებოდა შუშანიკს, რომ იმ დღიდან, რაც თქვენ წახვედი მთავრის სახლად, იქ სხარული მწუხარებად შეიცვალა. მაგრამ სპარსელმა თავისი სრემლით ვერაფერი ვერ გაარიდა. მაშინ ვასკენმა მოუწოდა თავისთან მკვლელებს და უთხრა მათ: «რატომ დაპტოვა მე ჩემმა მეუღლემ? წადით, უთხარით მასს, რომ მან განაუფრთხიურა მე მით, რომ დატოვა თავისი სახლი და წავიდა სხვის სახლში, მან ჩემს სარეკელზე დაჰყარა ნაცარი».

როცა მღვდლებმა გადასცეს წმ. შუშანიკს ვასკენის სიტყვები, მან მიუგო: «მე კი არ გამოუპატურებია იგი; წინააღმდეგ ვასკენმა გააუბატურა თავისი მამის სახლი, ვინაიდან უარ-ჰყო სარწმუნოება ცისა და ქვეყნის შემომგქმდი ღვთისა; უთხარით მასს, რომ მე მძაჲ იგი».

წმ. შუშანიკის სიტყვებმა კიდევ მომეტებულად გააბრაზა ვასკენი. მან მოიხზო თავისთან თავისი ძმა, მისი მკვლელ და სსახლის ეპისკოპოსი ფოტი და გაგზავნა ისინი დედოფალთან და შემდეგი სიტყვები დააბარა მათ: «თუ შუშანიკი თავის ნებით არ დაბრუნდა სასახლეში, მაშინ იგი ძალით იქნება მოყვანილი» - დიდხანს არ თანხმდებოდა წმ. შუშანიკი სასახლეში წასვლას, მაგრამ ნათესავების თხოვნამ და ცრებლებმა აიძულეს იგი დაბრუნებულიყო სასახლეში. სასახლეში შუშანიკი დაბრუნდა პატარა ოთახში, სადაც ღვთის ვედრებაში ატარებდა დროს.

ორი დღის შემდეგ ვასკენმა გააკეთა სადილი, რომელზედაც ძალით მოიყვანეს წმ. შუშანიკი. სადღეზე შუშანიკს არაფერი არ აუღია, და როცა ვასკენის ძმის ცოლმა მიაწოდა შუშანიკს ღვინო აზარფეშით, ამ უკანასკნელმა მიუგო: ჩემში არ გაგოგილა, რომ ქალებს ოდესმე მამაკაცებთან ერთად ეჭამოსთ პური; ვაზოართვა აზარფეშა და გადააგლო. ამგვარმა საქციელმა მომეტებულად გააცეცხლა ვასკენი; მან დაუწყო გინება და ცემა შუშანიკს, და შემდეგ ბრძანა დაეპატიბრებიათ იგი სასახლის ერთ-ერთ ოთახში.

გავიდა რამოდენიმე დრო. ვასკენმა გაილაშქრა ბერძნების წინააღმდეგ, წმ. შუშანიკი კი ხელახლავ გადაესახლა სვეკლესიო სახლში. ამ დროს დიდი მარხვა იყო და წმ. მოწამე მთელს დროს ლოცვით ატარებდა ტაძარში; ამ სახით რამოდენიმე კვირამ აწმეილობით განვლო. ვნებრს კვირიაკეში ვასკენი

დაბრუნდა თავის სატახტო ქალაქში, და როცა გაიგო, რომ შუშანიკი ტაძარშიაო, შევიდა ტაძარში, მან გალანძლა ეპისკოპოსი ფოტი, სცემა მღვდელს და როცა შუშანიკი დაინახა, გამოათრია იგი ტაძრიდან და ბრძანა, რომ სასახლემდის მიწაზე თრევით წაყვანათ იგი; ის გზა, რომელზედაც წმიდანი უნდა წაეთრიათ, ეკვლებით იყო მოფენილი. მთელი ტანსაცმელი შემოეხა წმიდანს და მთელი ტანი უღეთოდ დაეგლიჯა. სასახლის წინ, ვასკენის ბრძანებინამებრ, წმიდანს ჯოხით ცემა დაუწყეს; 300 ჯოხი დაჰკრეს. მოთმენით აიტანა წმიდანმა ეს ტანჯვა, მხოლოდ უთხრა ვასკენს: «თუ მე არ გეცოდებო, შენი თავი მაინც გეცოდებოდეს და შეუღდექი ქრისტეს, რომელიც შენ უარ-ჰკაიდა».

მაგრამ ამ სიტყვებმა ვერ მოალობო ვასკენის სასტიკი და შეუბრალებელი ხასიათი. მან ბრძანა წმიდანისთვის მოებათ კ სერზე ჯაჭვი და წაყვანათ იგი საპატიმროში, სადაც შუშანიკმა გაატარა ექვსი წელიწადი.

ადგილი, სადაც დაპატიმრებული იყო წმ. შუშანიკი, საზარელი რამ იყო, იმ არე-მარეში მეტად მძიმე ჰაერი იყო, წყალი იყო მყარალი და იმასაც ცოტას აძლევდნ წმ. შუშანიკს. საზარდოც ძლიერ მცირე ეძლეოდა წმიდანს. თვითონ ის ოთახი, სადაც წმიდანი ცხოვრობდა, მეტად ვიწრო იყო და აქაც იგი თავისუფლად არ იყო, რადგან მ-ბმული იყო კედელზე. წმიდანს ანუგეშებდა წმ. ნინოს ჯვარი, რომელიც შეკრული იყო საქართველოს განმანათლებელის თმით.

ამ ჯვარის წინაშე იოხებდა თავის მწუხარებას წმიდა შუშანიკი და მარტო ღვთის-ვედრებაში ჰპოებდა ნუგეშს. მან შერსწავლა ყველა ფსალმუნები და დღე და ღამ იღებდა უფალსა; ცოტა ეძინა და ისიც ფეხის დგომის დროს დიდი მარხვის განმავლობაში, და ან თავის ქვეშ დაიდებდა ხოლმე ქვას. ლოცვით, ღამის თევით და მარხულობით წმ. შუშანიკი წარემართებოდა სულიერს ცხოვრებაში. მისი სახელი გაიუქვა მთელს საქართველოში. წმიდანთან ყოველი მხრიდან მოდიოდნენ მნახველნი და სწეულნი იღებდნენ კურნებას, უშვილოებს მიეცათ შვილები, ბრძმები ხედავდნენ; ერთი სპარსელი ჯაღაქარი შუშანიკმა განკურნა უკურნებელი სენისაგან, როცა წმიდანის რჩევით თავი დაანება მკითხაობას და მიიღო წმ. ნათლის ღება და გაემგზავრა უფლის

წმ. სასაფლაოს თაყენისსაცემლად. საპრობილემი ცხოვრებამ და სასტიკმა წვალებამ დასუსტა წმ. შუშანიკის ტანის სიძრთელე. მეშვადე წელს წმ. შუშანიკს გამოაჩნდა ტანზე წყლულები და ამ წყლულებში გაჩნდნენ მატლები, რომელთა შესახებ წმიდა შუშანიკი ეუბნებოდა ხოლმე თავის მოძღვარს, რომელიც ხშირად ნახულობდა წმ. შუშანიკს: «უკეთესია აქვე შემჯამოს მე მამაკედინებელმა მატლებმა, ვინემ იქ. უსიკვდლო მატლმა». წმ. მოწამე ცხადად გრძნობდა თავისი უკანასკნელი ჟამის მოახლოებას.

როცა წმ. მოწამის სიკვდილის მოახლოება გაიგო ვასკენის ძმამ, იგი თავის მკუდლით და შეიღებით მივიდა წმ. მოწამესთან და სთხოვა მას ცოდვების მიტყევა. წმ. შუშანიკმა მოუტევა მას ცოდვები, აკურთხა იგი და მთელი მისი სახლობა და შემდეგი დარჩება მისცა: «ჩვენი ცხოვრება მალე წარმავალია, როგორც ველი მინდვრისა, — დღით აპყვადების, საღამოთი კი გასტკნების. ვინც აქ თავის ქონებას დარაბებს ახმარს, იგი უჩეტეს სასყადელს მიიღებს საუყუნო ცხოვრებაში. ვინც აქ დაღუპვს თავის სულს, იგი საუყუნო ცხოვრებასა შინა მოიპოვებს მასს».

ბევრი გამოჩენილი პირნი და ბევრი უბრალო ხალხიც დაიარებოდა წმიდანთან საპატიმროში; ყველანი ეთხოვებოდნენ შუშანიკს და სთხოვდნენ ცოდვების მიტყევას და მაცხოვრის წინაშე შუაშდგომლობას. როცა დაბოლოვს ყველანი გამოეთხოვენ წმიდანს, ეპისკოპოსმა ფოტიმ აზიარა წმიდანი, გამოეთხოვა წმ. მოწამეს, რომელიც მადლობდა ფოტის, როგორც მამას და კეთილის მყოფელს და მიიღო წმიდანის ხელიდგან წმ. ჯვარი, რომელიც დღეს ინახება თბილისში სიონის ტაძარში. წმ. შუშანიკმა დაიბარა, რომ მისი გეამი დაესაულაეებით ტაძარში და შემდეგ ხმამაღლად წარმოთქვა: «კურთხეულ არს უფალი ღმერთი ჩვენი, რომ განვისვენებ მასში» და მშვიდობით განუტევა სული. — ეს იყო 17 ოქტომბერს 466 წელსა. წმიდანის სიტყვა აღსრულებულ იქნა. ეპისკოპოსმა იოანემ დიდის მოწიწებით გადმოასვენა წმიდანის გეამი საპრობილედან ტაძარში და აქ დაკრძალა მისი გეამი; ხალხი მთელი დღე და ღამე არ შორდებოდა წმიდანის საფლავს და ევედრებოდა ღმერთს განსვენებისათვის წმიდანის სულისა.

წმიდა შუშანიკის სიკვდილს თან მოჰყვა მ.ი.ი

მწვალელების ვასკენის დასჯაც: კეთლოორწმუნე საქართველოს მეფემ ვახტანგ-გურგასლანმა გამოილაშქრა თავისი ჯარით ვასკენის წინააღმდეგ, დაატყვევა იგი და ჩამოაჩრჩო.



წმ. მოწამე შუშანიკი.

წმ. შუშანიკის ხსენებას, გარდა 17 ოქტომბრისა, წმიდა ეკლესია დღესასწაულობს კიდევ 28 აგვისტოს, როცა 586 წელში ქათალიკოსმა სამუილმა გადმოასვენა წმიდანის ნაწილები თბილისში, სადაც ეს ნაწილები დაკრძალულ იქმნენ მეტეხის ეკლესიაში ტრაპეზის მარჯვნივ.

ყვარულთა და მამათა

თითოეული	მამათა	ყვარულთა	მამათა	ყვარულთა
მამათა	მ	ყ	მ	ყ
—	მ	ყ	მ	ყ
—	მ	ყ	მ	ყ
—	მ	ყ	მ	ყ
მამათა	მ	ყ	მ	ყ
—	მ	ყ	მ	ყ
—	მ	ყ	მ	ყ

მიიღება ხელის-მოწერა 1895 წლისათვის ორ კვირულ ვაგონითა მართულს

„მშენებელი“ - ზე

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

მიზანი და დანიშნულება გახტისა: 1) შეატყობინოს სამღვდელს და საერო წოდებას შესანიშნავი განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და საერო მართებლობათა, კონსისტორიითა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელს და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელს და საეკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეკლესიო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა ზემოხსენებულის პროგრამის აღსრულების გარდა არის— 1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავი და საინტერესო «მწყემს»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

ფასი ქურონალისა:

12 თვით «მწყემსი» 5 მ. | 6 თვით «მწყემსი» 3 მ.
 — „ ორივე გამოცემა „ — „ ორივე გამოცემა 4 მ.
 — „ რუსული „ 3 მ. — „ რუსული „ 2 მ.

სოფლის მსწავლებელთა ღირებულება და მათი მოვალეობის შესახებ

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ყვარულში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

მაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ყვარულში, აგრეთვე ქუთაისშიც.

ზარემ მცხოვრებთა ქურონალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

1895 წლის «მშენებელი»-ს

ხელის მომწერებს საჩუქრით დაურთავდათ

უთხას და დავით აღმაშენებლის

მოზრდილი მხატვრობა

შოთას სურათს იანერიდან მიიღებენ ხელის მომწერნი და დავით აღმაშენებლისა წლის ბოლოს.

საპოლიტიკო და სალიბერალური გაზეთი

„იპმარი“

1895 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევნ კვირა-უქმეებს.

შ ა ს ი:

12 თვით . . . 10 მ.—კ.	6 თვით . . . 6 მ.—
11 » . . . 9 » 50 »	5 » . . . 5 » 50
10 » . . . 8 » 75 »	4 » . . . 4 » 75
9 » . . . 8 » — »	3 » . . . 3 » 50
8 » . . . 7 » 25 »	2 » . . . 2 » 75
7 » . . . 6 » 50 »	1 » . . . 1 » 50

საზღვარ-გარედ დაბარებული ელარება—17 მან მთელის წლით. სოფლას მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მან.

ტფილისის გარე მცხოვრებთა უნდა დაიხარონ გაზეთი შემდეგის აღწესით:

Тифлис. Въ Редакцію газеты „ИВЕРІА“

მთუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე აღრესნედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის აღრესის შეცვლაზე—40 კაპ.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზე თათოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო 1-ლი გვერდი—60 მან. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელთ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდეს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

ანა გვარს მაწერ-მოწერას ან დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია ანა ვისრულობს.

პირ-დაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალ იქმნება ყოველ-დღე, კვირა-უქმების გარდა 1-ლ საათიდან 3 საათამდე და საღამოობით 7-და 8-მდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 12.

მიიღება ხელის მოწერა 1895 წლისათვის

ყოველ თვიურ ქართულ ჟურნალ

„მოამბე“ ზ. დ

(II წ.)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით

კავკასიისა და რუეთის ქალაქებში:	საზღვარ გარეთ:
1 წლით 10 მან.	1 წლით . . . 13 მან.
6 თვით 6 »	6 თვით . . . 7 »
3 თვით 4 »	3 თვით . . . 5 »

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე 4 მან., 1 აპრილამდე 3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, ჟურნალ «მოამბის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვას ქუჩაზე № 13.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის აღრე ი: **Въ Тифлисѣ. Въ редакцію грузинскаго журнала «МОАМБЭ».**

რედაქტორი გამოცემელი
ალექსანდრე ჭყონია ალექსანდრე ჯაბაღარიძე

შიაღება ხელის-მოწერა 1895 წლისათვის ორ თვეს
საემსწავლე სურათებან უნახა

„ხეხილზე“

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი, და თითო
წიგნში იქნება ოთხიღამ-ხუთამდე ნაბეჭდი თაბახი,
ანუ 64—80-დე გვერდი ღირის ფორმატისა.

«ჯეჯილში» დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსე-
ბი, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კატ-
ცხორების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეც-
ნიერო წერილები, საბავშვო სათამაშონი და სეარ-
ჯიშონი, სამათემატიკოამოცანები, იგავები, ანდაზები,
გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს
ჟველა ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში დატარებით
ფირება—3 მანეთი, თბილის გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი იქნება 60 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და
ნახევარი წლით.

რედაქტორი-გამომცემელი ან. თ-წერეთლისა.

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

„ბებელი“

გამოვა 1895 წლიდგან ყოველ კვირაში ერთხელ
ერთიღგან სამ თაბახამდის.

რედაქცია ყოველ-ღონისძიებას ხმარობს გააუმ-
ჯობესოს შინაარსი და სახე გაზეთისა. ამ განზრახ-

ვით მან დაიბარა პეტერბურ ღიდან მრავალი საუკე-
თესო ცინკზე და სპილენძზე მოჭრილი მხატვრობა.

წლიურად ეღირება გაუგზავნელად შეიღი მანეთი,
ხოლო გაგზავნით 8 მან. ნახევარის წლისა გაუ-
გზავნელად სამი მან. და ათი შუარი, გაგზავნით
ოთხი მანეთი; სამი თვისა გაუგზავნელად ორი მან,
გაგზავნით სამი მან. თითო ნომერი აბახათ.

ხელის მოწერა შიაღება:

ტფილისში არწუნისეულ ქარვასლის «ქართულ
სახელსო სამეციხეელოში» და «წერა-კითხვის საზო-
გალოების კანცლარიაში», ქალაქს გარეშე ხელი
და თვით «კვალის» და «ჯეჯილის» რედაქციაში
(Артиллер. ун. д. Тамашева, возлѣ кадетскаго
курпуса).

ქალაქს გარეშე ხელს-მოწერა შეუძლია
მიმარსონ: ქუთაისში: თ. კირილე ბეჟანის ძეს ღორთქ-
ფანძეს და ე. ბეჟანე შვილისა და მათ წერეთლებ
წიგნის მღაზიებში.—ბათუმში: მათე ნიკოლაძე
ჟურნალ-გაზეთის სააგენტოში და პავილიონში გე-
კალანდაძესთან.—თიანეთში: ივ. თ. ჩიბალაშვილს.
გორში:—ზაქარია დავილოვთან და ეკ. ფურცელ-
ძესთან.—ჭიათურაში: თედორე კიკვაძესთან.—ეგორ-
ლაში. თ. ხუსკივაძესთან,—ახალ-სენაკში და რხუ-
ბეთში: კ. თავართქილაძესთან.—ხახუტაურში: მ.
ჯიქლაძის წიგნის მღაზიაში.—სახსკეში: ყარაბ-
ჩხიძესთან.—თელავში: მ. ცისკარაშვილთან.

ენც «ჯეჯილსა» და «კვალს» ერთად დაიბ-
რებს, მათვის წლიურათ ეღირება გაუგზავნელად
10 მან., ხოლო გაგზავნით 12 მან.

საფოსტო აღრეცი: Тфлись, Редакція «БВАЛИ»

